ხელშეკრულება #GAM039
(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი 10 მაისი 2022 წელი

ერთის მხრივ, **შ.პ.ს. "თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო"** წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მამუკა მაჭავარიანის (შემდგომში „შემსყიდველი") სახით და მეორეს მხრივ, **შპს სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის კვლევის ინსტიტუტი** წარმოდგენილი მისი დირექტორის ნორა კოკაიას (შემდგომში „მიმწოდებელი") სახით, ხელშეკრულებას ვაფორმებთ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტი.

1.2. „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" მე-2 მუხლის „ა" პუნქტი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შ.პ.ს. "თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს" საკუთარი შემოსავლების ფარგლებში **ლაბორატორიული მომსახურებების (CPV 71900000)** შესყიდვა (შემდგომში ,,შესყიდვის ობიექტი'').

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **200.00(ორასი)** ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

4.1. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია: ლაბორატორიული მომსახურებები (შემდგომში „მომსახურება") დანართში მოცემული კვლევების შესაბამისად.

4.2. მიმწოდებელი შემსყიდველის მიერ აღებულ ბიოლოგიურ სითხეებს (შემდგომში "ნიმუში") ჩაუტარებს ლაბორატორიულ კვლევას.

4.3. მიმწოდებელი მიღებული შედეგების გადაგზავნას უზრუნველყოფს ელექტრონული ფოსტით შემსყიდველის იურიდიულ/ელექტრონულ (infocih.ge@gmail.com) მისამართზე.

4.4 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს პაციენტისგან თანხმობის მიღება, მათი პერსონალური მონაცემების, მათ შორის კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს.

5.2. შესყიდვის ობიექტის უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი" წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი" საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის" ინტერესების გათვალისწინებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადები.

6.1. შესყიდვის ობიექტის მომსახურების ადგილი – ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ.#18

6.2. შესყიდვის ობიექტის მომსახურების ვადები - **10.05.2022-31.12.2022 წელი.**

7. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

7.1. შემსყიდველის მიერ მომსახურების მიღება წარმოებს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის მომენტში წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტის (მიღება–ჩაბარების აქტი ან ანგარიშფაქტურის და სხვა) საფუძველზე.

7.2. შემსყიდველი მომსახურების მიღების მომენტში აწარმოებს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირებას. „მომსახურების" მიღების დროს გამოვლენილი დეფექტისა და ნაკლის აღმოფხვრას, აუცილებლობის შემთხვევაში გამოცვლას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

7.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

7.5. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველის" მიერ საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნება „მომსახურების" უხარისხობა, იგი წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" და მოითხოვს სათანადო კომპენსაციას.

8. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტის (ანგარიშ–ფაქტურა, ინვოისი) წარმოდგენიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

8.2. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორება.

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

9. პირგასამტეხლო

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა.

9.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გადაცდენის შემთხვევაში, მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ს.

9.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში, მხარეები ყოველი დარღვევისას იხდიან პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%–ს მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

9.5. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9.6. მხარეები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

10. მხარეთა უფლება–მოვალეობები

10.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

10.1.1. აცნობოს „მიმწოდებელს“ ყველა მომხდარი ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

10.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

10.2.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ საქონელი/მომსახურება, რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა მონაცემებით „შემსყიდველის“ დაკვეთას.

10.2.2. დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება.

10.3. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

10.3.1. მოითხოვოს „მიმწოდებლისგან“ ხელშეკრულების ყველა პუნქტის შესრულება.

10.3.2. უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა.

10.3.3. არ სცნოს „მიმწოდებლის“ არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

10.4. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

10.4.1. მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ მის მიერ მიწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულების სრული ანაზღაურება.

10.4.2. განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის“ მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება საქონლის/მომსახურების მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

10.4.3. აწარმოოს მოლაპარაკება „შემსყიდველთან“ სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.

10.4.4. მიმართოს სასამართლოს ან სხვა შესაბამის ორგანოებს „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დაღვევის გამო.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1 მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების სრული და უპირობო შესრულებისათვის.

11.2. ამასთან მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას მოახდინონ მიყენებული რეალური ზარალის ანაზღაურება, რომელსაც ექნება შესაბამისი დადასტურება.

11.3. ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე, გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს.

11.4. ხელშეკრულების შეწყვეტა მთლიანი ან ნაწილობრივი შეწყვეტა მხარეთა მიერ წერილობითი შეტყობინების გარეშე და ამ შეტყობინებაზე წერილობითი პასუხის მიღების გარეშე დაუშვებელია.

11.5. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

11.5.1. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი/მომსახურება:

11.5.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს, რის გამოც ვერ განხორციელდება საქონლის/მომსახურების მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში.

11.6. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

11.7. „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

11.7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის“ ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე;

11.7.2. თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.7.3. „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში.
11.8. საჯარიმო სანქციები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. დაუძლეველი ძალის მოქმედება

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის დაუძლეველი ძალა ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით, რომელსაც ცნობენ მხარეები.

12.3. დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისგან.
12.4. დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.
13.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

14. გამოსაყენებელი სამართალი

14.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

16. ურთიერთობა მხარეებს შორის

16.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
16.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო ადრე დადგება.

17. ხელშეკრულების სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
17.2. „მიმწოდებელს“ არ აქვს უფლება წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.
17.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა.
17.4. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და იღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის თარიღიდან.
18.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება: **10.05.2022–31.01.2023 წელი.**
18.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.
18.4. ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ–კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

19. განსაკუთრებული შენიშვნები

19.1. ხელშეკრულება დგება ელექტრონულად და ელექტრონულადვე გადაეცემა „მიმწოდებელს“.

19.2. ხელშეკრულება დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელეტრონული შტამპით.

20. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“		„მიმწოდებელი“	
დაწესებულების დასახელება	შპს “თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო“	**დაწესებულების დასახელება**	შპს “სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის კვლევის ინსტიტუტი”’’
	რეკვიზიტები:		**რეკვიზიტები:**
ს/კოდი:	204871594	**ს/კოდი**:	404498021
მომსახურე ბანკი:	ს/ს ,,თი ბი სი ბანკი,,	**მომსახურე ბანკი:**	ს.ს. ,,თი ბი სი ბანკი”
ბანკის კოდი:	TBCBGE22	**ბანკის კოდი:**	TBCBGE22
ანგ/ანგარიში:	GE89TB7287436020100001	**ანგ/ანგარიში:**	GE20TB7806936020100003
მის/იურიდიული	ქ. თბილისი, ჩიქოვანის ქ. N14	**მის/იურიდიული**	
მის/ფაქტიური	ქ. თბილისი, ჩიქოვანის ქ. N14	**მის/ფაქტიური საკ/ინფორმაცია**	ქ.თბილისი, თამარ მეფის გამზ.#18
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი		დირექტორი	
მ. მაჭავარიანი		ნ. კოკაია	

LTD Tbilisi Children Infectious Clinical Hospital

Digitally signed by LTD Tbilisi Children Infectious Clinical Hospital
Date: 2022.05.11 08:35:37 +04'00'

კოდი	სამედიცინო მომსახურების დასახელება	ფასი (ლარი)
PR.1.1, PR1.2 PR.2.1	განავლის ანალიზი პარაზიტულ ჭიებსა და ნაწლავის პროტოზოებზე კოპროლოგიური კვლევით	50
PR.1.2(HEL33)	პერიანალური ანაფხეკის გამოკვლევა	15
PR.1.2(HEL73)	განავლის გამოკვლევა ბერმანის მეთოდით	10
PR.1.2(HEL36)	განავლის გამოკვლევა ტელემანის მეთოდით	10
PR.1.2	განავლის გამოკვლევა კატო-კატცის მეთოდით	15
FA PR.2.5 (SIM22)	განავალში ლამბლიის ანტიგენის განსაზღვრა	25
FA PR.2.5 (SIM21)	ამების (Entamoeba histolytica-ს) ანტიგენის განსაზღვრა განავალში	25
FA 2.2	განავლის გამოკვლევა ფარულ სისხლდენაზე	20
BL.6	სისხლის საერთო ანალიზი	25
BL 11.2.1, BL11.2.2	ტრანსამინაზების (ALT, AST) განსაზღვრა სისხლის შრატში	15
BL.10.1	ბილირუბინის განსაზღვრა სისხლის შრატში	15
BL.7.1, BL7.4	საერთო ცილისა და ალბუმინის განსაზღვრა სისხლის შრატში	15
BL.9.3	კრეატინინის განსაზღვრა სისხლის შრატში	15
BL.14.2	კალიუმის განსაზღვრა სისხლის შრატში	15
BL 9.1	შარდოვანას განსაზღვრა სისხლის შრატში	15
CG.7 (2.1.7, CG6, CG2.1.2)	კოაგულოგრამა (მოკლე - PT, PI, INR, aPTT)	15
CG.7	კოაგულოგრამა	25
CG.2.1.7	პროთომბინის (თრომბოპლასტინის) დროის განსაზღვრა სისხლში და პლაზმაში	10
UR.7	შარდის საერთო ანალიზი	15
BL.5.7	სისხლის სქელი წვეთის და ნაცხის გამოკვლევა მალარიის პლაზმოდიუმზე	40
ZYZX90 MB.4 (BAC62)	სისხლის გამოკვლევა ბრუცელოზზე ჰედელსონის და რაიტის რეაქციებით ექიმის კონსულტაციით	70
MB.4 (BAC62)	სისხლის გამოკვლევა ბრუცელოზზე ჰედელსონის და რაიტის რეაქციებით	40
PR.2.1.2 (SIM29)	კანის ანაფხეკში ლეიშმანიების იდენტიფიცირება	50
PR.1.2.1(HEL30)	ექინოკოკური კისტის შიგთავსის გამოკვლევა	40
PR.1.2.1(SIM21)	აბსცესის შიგთავსის გამოკვლევა ამებიაზზე	25
IM.10.1.2	სისხლის ჯგუფის და რეზუსის განსაზღვრა	15
PR.2.5 (SIM28)	ლეიშმანიას საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სისხლის შრატში	45
PR.1.4 (HEL30)	ექინოკოკის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სისხლის შრატში	40
PR.1.4 (HEL36)	ფასციოლა-ს საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სისხლის შრატში	50
PR.2.5 (SIM37)	ტოქსოპლაზმას საწინააღმდეგო ანტისხეულების (IgG) განსაზღვრა სისხლის შრატში	40
PR.2.5 (SIM37)	ტოქსოპლაზმას საწინააღმდეგო ანტისხეულების (IgM) განსაზღვრა სისხლის შრატში	45
PR.1.4 (HEL81)	ტრიქინელას საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სისხლის შრატში	45
PR.2.5 (SIM21)	ამების (Entamoeba histolytica-ს) საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სისხლის შრატში	45

PR.1.4 (HEL80)	ტოქსოკარას საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სისხლის შრატში	45
PR.1.4 (HEL76)	ღორის სოლიტერის (Taenia solium) საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სისხლის შრატში	40
MA. PR2.1.2	ძვლის ტვინის პუნქტატის გამოკვლევა/ ლეიშმანიების იდენტიფიკაცია	45
PR.2.5 (SIM28)	ლეიშმანიას საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სისხლის შრატში rK39 (სწრაფი ტესტი)	35
MB.4 (BAC 62)	ბრუცელას საწინააღმდეგო ანტისხეულების (IgG) განსაზღვრა სისხლის შრატში	40
MB.4 (BAC 62)	ბრუცელას საწინააღმდეგო ანტისხეულების (IgM) განსაზღვრა სისხლის შრატში	40
PR.1.1, PR1.2 PR.2.1	ბიოლოგიური მასალის (ნახველი, შარდი) ანალიზი პარაზიტულ ჭიებსა და პროტოზოებზე	40
PR.1.4 (HEL10)	ასკარიდას საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სისხლის შრატში	45
MB.4 (BAC 54)	ბორელია საწინააღმდეგო ანტისხეულების (IgM) განსაზღვრა სისხლის შრატში	45
MB.4 (BAC 54)	ბორელიას საწინააღმდეგო ანტისხეულების (IgG) განსაზღვრა სისხლის შრატში	45
FA.4	კოპროლოგიური გამოკვლევა	25
FA MB.4 (BAC 185)	ჰელიკობაქტერ პილორი -ს ანტიგენის განსაზღვრა განავალში	25
MB.9 (VIR25, VIR26, VIR35, BAC386)	მულტი-ინფექციების HBsAg/ HCV/HIV/TP განსაზღვრა სისხლში (სწრაფი ტესტი)	25
MB.9 (VIR26)	HCV- ინფექციის განსაზღვრა სისხლში (სწრაფი ტესტი)	15
PR.2.5 (SIM 31)	მალარიის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სისხლის შრატში (სწრაფი ტესტი)	35
BL.5.7 (1)	სისხლის სქელი წვეთის და ნაცხის გამოკვლევა გამოძახებით	60
BL.5.7, PR1 (HEL38)	სისხლის სქელი წვეთის გამოკვლევა, კონცენტრაციი მეთოდი (მალარია, მიკროფილარიები)	50
PR.1.4 (HEL.58)	ოპისტორქის (Opistorchis felineus) საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სისხლის შრატში	50
PR.1.4 (HEL14)	კლონორქის (Clonorchis chinesis) საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სისხლის შრატში	50
BL.14.5	რკინის განსაზღვრა სისხლის შრატში	20
BL.7.9	C- რეაქტიული ცილის განსაზღვრა	25
PR.2.5 (SIM22)	ლამბლიას Lamblia intest./Giardia საწინააღმდეგო ანტისხეულების (IgG) განსაზღვრა სისხლის შრატში	45